ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №308

ქ. თბილისი

7 ნოემბერი 2017 წ.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად ერთის მხრივ, საქართველოს სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურსა (მდებარე ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2 შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“ (მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ., შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „მიმწოდებელი“ ახორციელებს 10 (ათი) ერთეული ავტომანქანა „HYUNDAI ELANTRA“-ს (სახ.№SPS-201, სახ.№SPS-202, სახ.№SPS-203, სახ.№SPS-204, სახ.№SPS-205, სახ.№SPS-206, სახ.№SPS-207, სახ.№SPS-208, სახ.№SPS-209, სახ.№SPS-210 გამოშვების წელი 2014) ტექნიკურ მომსახურებას (კლასიფიკატორის კოდი 50100000) ხელშეკრულებაზე თანდართული ჩამონათვალის, რაოდენობისა და ფასების მიხედვით (დანართი №1), „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“) დღგ-ს ჩათვლით.

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადები და ადგილი

3.1 საქონლის მიწოდება და მომსახურების გაწევა ხდება „მიმწოდებლის“ მიერ ეტაპობრივად, 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით „შემსყიდველის“ მოთხოვნის შესაბამისად „მიმწოდებლის“ მისამართზე.

მუხლი 4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა ითვლება მიღებულად მას შემდეგ, რაც „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი წარმომადგენლები მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერით დაადასტურებენ მის მიღებას;

4.2 „მიმწოდებელმა“ მომსახურების გაწევის შემდეგ „შემსყიდველს“ უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტი – სასაქონლო ზედნადები და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა.

მუხლი 5. ანგარიშსწორება

5.1 ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო ანგარიშსწორება ეროვნულ ვალუტაში;

5.2 ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): „მიმწოდებლის“ მიერ მომსახურების გაწევისა და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 6. გარანტია

6.1 „მიმწოდებელი“ იძლევა მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების აღნიშნულ სფეროში არსებული სტანდარტებისადმი შესაბამისობის გარანტიას;

6.2 „მიმწოდებელი“ სათადარიგო ნაწილებზე იძლევა მინიმუმ 1 წლიან გარანტიას (გარდა: სამუხრუჭე ხუნდებისა და ფარის ნათურისა);

6.3 „მიმწოდებელი“ ვალდებულია შეტყობინების მიღებისთანავე განახორციელოს მიწოდებული უხარისხო საქონლისა და უხარისხოდ შესრულებული მომსახურების ან მისი ნაწილის გამოსწორება „შემსყიდველის“ მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;

6.4 „მიმწოდებლის“ მიერ ამ ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს“ უფლება აქვს თვითონ მიიღოს ზომები წარმოქმნილი დეფექტების გამოსწორებისათვის და მოსთხოვოს „მიმწოდებელს“ შესაბამისი ხარჯების ანაზღაურება ან გამოქვითოს ეს თანხა ხელშეკრულების მიხედვით „მიმწოდებლისათვის“ გადასახდელი თანხიდან.

მუხლი 7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების ხარისხისა და მოწოდების ვადების შემოწმების გზით;

7.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

7.3 ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებენ „შემსყიდველის“ შემდეგი წარმომადგენლები:

1) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი – ზ. ნიკოლეიშვილი;

2) ეკონომიკური დეპარტამენტის, ტრანსპორტის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი – ვ. ფხაკაძე.

მუხლი 8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1 „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

8.1.1 მოსთხოვოს „შემსყიდველს“ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.

8.2 „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

8.2.1 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8.3 „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

8.3.1. შეამოწმოს გაწეული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4 „შემსყიდველი“ ვალდებულია:

8.4.1 მოახდინოს ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

8.4.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა;

9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია;

9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან „შემსყიდველისათვის“ პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

9.4 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა;

9.5 „ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2017 წლის 14 ივნისის №12 ბრძანების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ხელშეკრულების დადების შემდეგ, პრეისკურანტში მომსახურების რომელიმე ერთეულის არარსებობისას, აღნიშნული ერთეულის ფასი მისი შესყიდვის აუცილებლობისას, დგინდება „შემსყიდველი“ ორგანიზაციისა და „მიმწოდებლის“ შეთანხმებით საბაზრო ფასის გათვალისწინებით. ასეთ შემთხვევაში პრეისკურანტში შესაბამისი მომსახურების ერთეულის არარსებობით გამოწვეული შესყიდვის ხვედრითი წილი არ შეიძლება აღემატებოდეს „მიმწოდებლის“ მიერ ელექტრონული ვაჭრობის შედეგად დაფიქსირებული პრეისკურანტის საბოლოო ჯამური ღირებულების 10%-ს;

9.6 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

მუხლი 10. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

10.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით;

10.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით.

მუხლი 11. ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1 „შემსყიდველს“ შეუძლია მთლიანად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს ხელშეკრულება, „მიმწოდებლისათვის“ ვალდებულებების შეუსრულებლობის წერილობითი შეტყობინების შემდეგ:

ა) თუ „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან „შემსყიდველის“ მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია გაუწიოს სრული ან ნაწილობრივი მომსახურება;

ბ) თუ „მიმწოდებელს“ არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ და „შემსყიდველს“ დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან;

11.3 „შემსყიდველს“ შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ „შემსყიდველისათვის“ ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო „მიმწოდებელი“ ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) „მიმწოდებლის“ გადახდისუუნაროდ ცნობის შემთხვევაში;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 12. მხარეთა პასუხისმგებლობა

12.1 ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

12.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე დაგვიანებით შესრულებული ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.1%-ის ოდენობით;

12.3 ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისთვის „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.4 ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 10%-ის ოდენობით;

12.5 იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1 (ერთი) პროცენტს, „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

მუხლი 13. ფორს-მაჟორი

13.1 ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას;

13.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა;

13.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

14.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2018 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

მუხლი 15. სადავო საკითხების გადაწყვეტა

15.1 „შემსყიდველმა“ და „მიმწოდებელმა“ ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ;

15.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში „შემსყიდველი“ და „მიმწოდებელი“ ვერ შეძლებენ სადავო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს, დავის გადაწყვეტის მიზნით, შეუძლია მიმართოს სასამართლოს.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) ეგზემპლარად (ერთი-„შემსყიდველს“, მეორე-„მიმწოდებელს“), საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამ დოკუმენტის თავში მითითებულ დღესა და წელს.

„შემსყიდველი“:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახური

ქ.თბილისი, 9 აპრილის ქ.№2

საქართველოს სახელმწიფო ხაზინა
სახელმწიფო დაცვის სპეციალური
სამსახურისათვის – 4001
ა/ა №GE24NB0330100200165022
კოდი TRESGE22
საიდენტიფიკაციო კოდი - 203840344

„შემსყიდველის“ სახელით:

საქართველოს სახელმწიფო დაცვის
სპეციალური სამსახურის ეკონომიკური
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

ილია ტარასაშვილი

„მიმწოდებელი“:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველო“

მდებარე: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის
ხეივანი მე-12კმ.
ტელ: 251 77 99

სს „თი ბი სი ბანკი“
ა/ა №GE96TB0600000360200182
კოდი TBCBGE22

საიდენტიფიკაციო კოდი - 204478948

„მიმწოდებლის“ სახელით:

სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოს“
დირექტორი

დავით გიორგობიანი

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ სს „ჰიუნდაი ავტო საქართველოსთან“ არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში.

ეკონომიკური დეპარტამენტის
უფროსის მოადგილე — ილია ტარასაშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის
ტრანსპორტის სამმართველოს
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი — ზაზა ნიკოლეიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის
ტრანსპორტის სამმართველოს
მთავარი სპეციალისტი — ვახტანგ ფხაკაძე

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს უფროსის მოადგილე — ვასილ მეგრელიშვილი

ეკონომიკური დეპარტამენტის, ბიუჯეტის დაგეგმვის,
კონტროლისა და სახელმწიფო შესყიდვების
სამმართველოს მთავარი სპეციალისტი — თამარ რამაზაშვილი

დანართი

№	ა/მ დასახელება	სახ№	საიდ.№	გამოშვერბის წელი
1	HYUNDAI ELANTRA	SPS-201	KMHDG41CAEU249439	2014
2	HYUNDAI ELANTRA	SPS-202	KMHDG41CAEU249648	2014
3	HYUNDAI ELANTRA	SPS-203	KMHDG41CAEU249449	2014
4	HYUNDAI ELANTRA	SPS-204	KMHDG41CAEU249937	2014
5	HYUNDAI ELANTRA	SPS-205	KMHDG41CAEU249910	2014
6	HYUNDAI ELANTRA	SPS-206	KMHDG41CAEU250143	2014
7	HYUNDAI ELANTRA	SPS-207	KMHDG41CAEU249685	2014
8	HYUNDAI ELANTRA	SPS-208	KMHDG41CAEU249579	2014
9	HYUNDAI ELANTRA	SPS-209	KMHDG41CAEU250250	2014
10	HYUNDAI ELANTRA	SPS-210	KMHDG41CAEU250041	2014

ჰიუნდაი ელანტრა 1.6 (მექანიკური გადაცემათა კოლოფი) 2014 წლის მოდელი

	სათადარიგო ნაწილი /საცხებ საპოხი მასალა/ მომსახურება	ზომის ერთეული	ნაწილის ფასი ლარი	მომსახურების ფასი ლარი
1	წინა ასამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	230	15
2	უკანა სამუხრუჭე ხუნდები	კომლექტი	170	15
3	ხელის მუხრუჭის ბაგირი	ცალი	140	40
4	წინა ამორტიზატორი	ცალი	305	40
5	უკანა ამორტიზატორი	ცალი	260	30
6	წინა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	100	30
7	უკანა ამორტიზატორის ბალიში	ცალი	70	25
8	წინა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	147	35
9	უკანა ამორტიზატორის ზამბარა	ცალი	155	30
10	წინა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი)	ცალი	65	40
11	უკანა ამორტიზატორის დარტყმის ამრიდი (ლიმონჩიკი)	ცალი	75	30
12	წინა ამორტიზატორის საკისარი	ცალი	85	35
13	წინა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	16	40
14	უკანა ამორტიზატორის სამტვერული	ცალი	15	30
15	საჭის ღერძი (კოლონკა)	ცალი	1080	150
16	საჭის ღერძის შტურვალი	ცალი	405	50
17	საჭის ღერძის დაბოლოება (ნაკანეჩნიკი)	ცალი	80	15
18	საჭის ღერძის წევა (უდარნი ტიაგა)	ცალი	90	15
19	წინა დაკიდების ბერკეტი (გიტარა)	ცალი	365	30
20	დაკიდების ბერკეტის მილისა დიდი	ცალი	50	30
21	დაკიდების ბერკეტის მილისა პატარა	ცალი	45	30
22	ბურთულოვანი სახსარი (შარავოი)	ცალი	85	25
23	ტრავერსის მილისა	ცალი	45	50
24	წინა სამუხრუჭე დისკო	ცალი	250	20
25	უკანა სამუხრუჭე დისკო	ცალი	302	35
26	წინა მორგვის საკისარი	ცალი	170	50
27	წინა მორგვი	ცალი	185	50
28	უკანა მორგვი საკისარით	ცალი	430	50
29	მორგვის ბოლტი	ცალი	6	40
30	საბურავის სამაგრი გაიკა	ცალი	6	5
31	ყუმბარა ერთი მხარე (გარეთა შიგნითა)	კომპლექტი	950	40
32	ყუმბარა შიდა მხარე	ცალი	448	50
33	გარეთა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	100	40
34	შიგნითა ყუმბარის სამტვერული (პილნიკი)	ცალი	95	50
35	მშრალი ამორტიზატორის რეზინი წინა	ცალი	12	15
36	მშრალი ამორტიზატორის მჭიდი	ცალი	7	10
37	წინა ღერო (სტერჟინი)	ცალი	85	15
38	გადაბმულობის ქურო	ცალი	195	230
39	გადაბმულობის დისკო	ცალი	235	230
40	გადაბმულობის საკისარი	ცალი	90	230
41	ჰაერის ფილტრი	ცალი	40	უფასო
42	ზეთის ფილტრი	ცალი	20	–
43	საწვავის ფილტრი	ცალი	100	50
44	კონდეციონერის (სალონის) ფილტრი	ცალი	75	10
45	სანთელი (სვეჩა)	ცალი	25	5
46	დინამოს ღვედი	ცალი	100	50
47	დინამოს ღვედის გორგოლაჭი	ცალი	70	50
48	საყვირი	ცალი	55	15
49	საქარე მინის საწმენდი	ცალი	55	5
50	ჰალოგენის ნათურა	ცალი	55	10
51	წინა ფარის ნათურა	ცალი	30	5
52	გაბარიტის ნათურა	ცალი	5	5
53	უკანა სტოპ ნათურა	ცალი	15	5
54	აკუმლატორი	ცალი	195	10
55	ძრავის ზეთი (სინთეტიკა)	1 ლიტრი	25	–
56	გადაცემათა კოლოფის ზეთი	1 ლიტრი	20	–
57	სამუხრუჭე სითხე	1 ლიტრი	15	–
58	ანტიფრიზი	1 ლიტრი	15	–
59	დროსელის საწმენდი სითხე	ცალი	30	–
60	ყინვაგამძლე სითხე	1 ლიტრი	15	–

61	კონდიციონერის ფრეონი	100 გრ	13	–
62	ძრავის ზეთის და ზეთის ფილტრის შეცვლა	კომპლექტი	–	15
63	გადაცემათა კოლოფიში ზეთის შეცვლა	კომპლექტი	–	30
64	სამუხრუჭე სითხის შეცვლა	კომპლექტი	–	45
65	ანტიფრიზის შეცვლა	კომპლექტი	–	20
66	კონდიციონერიში ფრეონის ჩატუმბვა	კომპლექტი	–	30
67	დროსელის გაწმენდა	კომლექტი	–	30
68	საბურავის მოხსნა-დაყენება, დაშლა-აწყობა, ბალანსირება	ცალი	–	15
69	განშლა (წინა თვლები)	კომლექტი	–	40
70	ნახარის გასწორება (უკანა თვლები)	კომპლექტი	–	140
71	სამუხრუჭე სითხის დამატება		–	უფასო
72	ანტიფრიზის დამატება		–	უფასო
73	საჭის მექანიზმის მოხსნა დაყენება აღდგენა		–	325
74	წინა მაშუქი ფარი	1	730	60

ს.ს " ჰიუნდაი ავტო საქართველო" -ს
სერვისის დირექტორი

ა.ხვედელიძე

ს.ს. "ჰიუნდაი ავტო საქართველო"
204478948
JSC "HYUNDAI AVTO GEORGIA"